



ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის

საფინანსო პოლიტიკა

შინაარსი

I. ფინანსური პოლიტიკის მიზანი.....	4
II. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრიორიტეტები	4
III. მოქმედების კურსი.....	4
III.I. შემოსავლების დივერსიფიკაცია და ფოკუსირება.....	4
III.II. საგანამანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია	5
III.III. ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის პოლიტიკის მართვა.....	5
III.IV. ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდა.....	5
III.V. სხვა საქმიანობა.....	6
IV. საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა.....	7

უნივერსიტეტის საფინანსო პოლიტიკის დანიშნულებაა განსაზღვროს ორიენტირები და ზოგადი მექანიზმები რათა ბიუჯეტის შედგენა მჭიდროდ იყოს დაკავშირებული უნივერსიტეტის სტრატეგიული პრიორიტეტების არჩევანთან და შესაბამისი რესურსების შეძენის სტრატეგიასთან, ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების სკოლების, სხვა სრულყოფილი/დამხმარე ერთეულების, სამეცნიერო აკადემიური პერსონალის წახალისების და სხვა შესაბამისი ნორმების ნორმების დადგენასთან - არსებული რესურსების პროდუქტულობის და გარე რესურსების შეძენის გზით.

გამომდინარე იქედან, რომ დღისათვის არ არის მკაცრი თეორიული ჩარჩო იმის განსაზღვრისათვის თუ როგორი უნდა იყოს უნივერსიტეტის ბიუჯეტი, გაუ თავისი საფინანსო პოლიტიკის განსაზღვრისა და ბიუჯეტის ფორმირებისას მაინც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების თეორიაში არსებულ შეხედულებებს. შესაბამისად, წინამდებარე საფინანსო პოლიტიკის ამოცანაა აჩვენოს დაინტერესებულ მხარეს, თუ როგორ არის გააზრებული ჩვენი საფინანსო პოლიტიკა და მისი ფილოსოფია და როგორ გაიგება ფინანსური პოლიტიკა, მისი კონკრეტული გამოვლინების - ბიუჯეტის ბუნება ჩვენს სინამდვილეში. ამ თვალსაზრისით, ხაზი უნდა გაესვას იმ გარემოებას, მიუხედავად იმისა, რომ გაუ არის დღისათვის მცირე ზომის უნივერსიტეტი მისი საფინანსო პოლიტიკა და ფილოსოფია თავისუფლად იყო შესაძლებელი გამოხატულიყო მის ბიუჯეტში, როგორც:

- ტექნიკურ საშუალება, როგორც რაციონალური და ატერნატიული მიდგომების მექანიზმი უნივერსიტეტის სტრატეგიების, პრიორიტეტების და ორგანიზაციული ამოცანების მისაღწევად ორგანიზებული პროცესი.

აქვე, პოლიტიკის შემუშავების მიზანია აჩვენოს დაინტერესებულ მხარეებს უნივერსიტეტის მიერ გადაწყვეტილების მიღების შემოქმედებითი, ალტერნატიული გადაწყვეტილებების მიღების მზაობა და უნარი. აღნიშნულიდან გამომდინარე:

- უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის და მთავარი ფინანსური დოკუმენტის - ბიუჯეტის ფორმირების პროცესი არ არის გააზრებული ოდენ ტექნიკურ საშუალებად. საბიუჯეტო პროცესი ამასთან, თავის თავში შეიცავს მოლაპარაკების და კონკურირების პროცესს რომელშიც ჩართულია უნივერსიტეტის ის სუბიექტები, რომლებიც კონკურირებენ საუნივერსიტეტო რესურსებისათვის დასახული მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად.

და ბოლოს, GAU როგორც სასწავლო სამეცნიერო საქმიანობის, ისე საზოგადოებრივი სოლიდარობისა და პასუხისმგებლობის მქონე ინსტიტუცია, საბიუჯეტო პროცესს ხედავს და მის ფილოსოფიაში იგი გარკვეულწილად უთმობს ადგილს ბიუჯეტს როგორც:

- კულტურულ და სიმბოლურ აქტს, რომელიც საუნივერსიტეტო თანხების განაწილების გზით უზრუნველყოფს იმ სოციალური ნორმებისა და ღირებულებების მიღწევას რაც განაცხადა უნივერსიტეტმა თავის სტრატეგიულ გეგმაში.

უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკა მიღებულია საქართველოს კანონმდებლობის, უნივერსიტეტის შიდა რეგულაციებისა და სტრატეგიული გეგმის შესაბამისად.

I. ფინანსური პოლიტიკის მიზანი

უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკის მიზანია:

- უნივერსიტეტის გრძელვადიანი უზრუნველყოფა, მისი ფინანსური მდგრადობა და სწავლებისა და კვლევის სფეროში საუნივერსიტეტო საქმიანობის ეფექტურობის ზრდა;
- უნივერსიტეტის მისიის, ხედვისა და სტრატეგიული გეგმის მიღწევა.

II. უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრიორიტეტები

უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პრიორიტეტებია:

- შექმნას შესაბამისი გარემო ხარისხიანი აკადემიური განათლების მისაღებად;
- განავითაროს კვლევისა და განვითარების ღონისძიებები და ინოვაციაზე ორიენტირებული სფეროები;
- გამოყოს თანხა უნივერსიტეტის სუსტი მხარეების გაუმჯობესების მიზნით;

III. მოქმედების კურსი

თავისი მიზნების მისაღწევად, უნივერსიტეტი ფინანსურ პოლიტიკაში ოთხ აქცენტს აკეთებს:

- შემოსავლების დივერსიფიკაცია და ფოკუსირება;
- საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია;
- ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის პოლიტიკის მართვა;
- ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდა.

III.I. შემოსავლების დივერსიფიკაცია და ფოკუსირება

უნივერსიტეტის საერთო შემოსავლის გაზრდის მიზნით, უნივერსიტეტის შემოსავლებში უნდა გაიზარდოს:

- საერთაშორისო პროგრამებიდან და საერთაშორისო ფონდებიდან მიღებული თანხების პროცენტული მაჩვენებელი;
- კერძო სექტორის მონაწილეებთან ერთად ერთობლივი სამეცნიერო საქმიანობის, მათ შორის გამოყენებითი კვლევის წარმოების თანადაფინანსება.

წინამდებარე ფინანსური პოლიტიკა მიმართულია აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის ოპტიმიზაციისკენ, სამუშაო მოთხოვნები აკადემიური პერსონალის და სამეცნიერო პერსონალის მიმართ უნდა იყოს მოქნილი. შესაძლებელია სწავლებასთან დაკავშირებული ვალდებულებების შემცირება კვლევასა და განვითარებასთან დაკავშირებული საქმიანობის წარმატებით შესრულების ან საგანმანათლებლო პროგრამების განვითარების მიზნიდან გამომდინარე. ეს ხელს უწყობს ფინანსური რესურსების ფოკუსირებას იმ ეტაპზე უნივერსიტეტისთვის პრიორიტეტული საქმიანობის განხორციელებისკენ.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს მთელი ცხოვრების განმავლობაში სწავლის განვითარებას მთელი თავისი მრავალფეროვნებით. მნიშვნელოვანია უწყვეტი განათლების უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ზრდა.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს თავისი თანამშრომლების საქმიანობას უნივერსიტეტის გარეთ, რითაც ქმნის დამატებით ღირებულებას დასაქმებულსა და უნივერსიტეტს შორის, აძლიერებს ურთიერთობას უნივერსიტეტსა და საზოგადოებას შორის, ასევე ქმნის პირობას უნივერსიტეტისათვის დამატებითი შემოსავლების მობილიზებისათვის.

III.II. საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია

უნივერსიტეტის ფინანსური პოლიტიკა ითვალისწინებს სასწავლო პროგრამების სისტემატურ მოდერნიზაციას, რომლის მთავარი მიზანია გააუმჯობესოს სასწავლო პროგრამებისა და სწავლების ხარისხი და დაუკავშიროს ისინი საზოგადოების საჭიროებებს. ხარისხი უზრუნველყოფილია სასწავლო პროგრამების რაოდენობის შემცირებით, რაც ქმნის წინაპირობას მნიშვნელოვანი და სიცოცხლისუნარიანი სასწავლო პროგრამების უკეთესი დაფინანსებისათვის. შესაბამისად, ამ აქტივობების ფინანსური მხარდაჭერა უნივერსიტეტის სტრატეგიული მიდგომაა.

უნივერსიტეტი ყურადღებას აქცევს ინტერდისციპლინური პროგრამების შემუშავებას, სადაც განხორციელდება მატერიალური და აკადემიური რესურსის კონსოლიდირება.

III.III. ადმინისტრაციული ხარჯების დაფარვის პოლიტიკის მართვა

უნივერსიტეტის საფინანსო პოლიტიკა მიმართულია ადმინისტრაციული ხარჯების ოპტიმიზაციისკენ, რაც ხელს შეუწყობს უნივერსიტეტის ძირითადი საქმიანობაზე გაწეული ხარჯების ზრდას.

ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს:

- ადმინისტრაციისა და დამხმარე სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის უზრუნველსაყოფად განკუთვნილ თანხებს;
- უნივერსიტეტის მასშტაბით განხორციელებული ღონისძიებებისა და აქტივობების ხარჯებს;

უნივერსიტეტი ხელს უწყობს ელექტრონული სერვისების განვითარებას.

უნივერსიტეტი ხელს უწყობს ენერგოეფექტურობის გაზრდას.

III.IV. ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდა

უნივერსიტეტის საფინანსო სამსახური ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო ერთეულების - სკოლების, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (ინსტიტუტების) და დამატებითი სტრუქტურული ერთეულების მიერ ფინანსური ვალდებულებების შესრულების მონიტორინგს;

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის - სკოლის, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრების (ინსტიტუტების) დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელები პასუხისმგებელი არიან პროექტების, შეთანხმებების/ხელშეკრულებების, ღონისძიებების და სხვა აქტივობების ანგარიშგებაზე.

საფინანსო სამსახური უზრუნველყოფს ფინანსური მენეჯმენტის ეფექტურობის ზრდას ყველა დონეზე - ძირითად საგანმანათლებლო ერთეულში - სკოლაში, სამეცნიერო/კვლევით ინსტიტუტში თუ დამხმარე სტრუქტურულ ერთეულში.

ამ მიზნით საფინანსო სამსახური:

- წარმოადგენს ფინანსურ ანგარიშებს;
- აკონტროლებს სტრუქტურული ერთეულებს დაიცვან ფინანსური დისციპლინა და ხელშეკრულებების ვადები;
- ატარებს ტრენინგებს და ინდივიდუალურ კონსულტაციებს.

ანაზღაურების პოლიტიკის შესაბამისად თანამშრომელთა ხელფასების ზრდა უკავშირდება მათი საქმიანობის შეფასების მაჩვენებლებს.

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ხელფასების ზრდა ასევე უკავშირდება მათი საქმიანობის, მათ შორის ფინანსური საქმიანობის, შეფასების მაჩვენებელს.

ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულების, დამხმარე სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა ფინანსური საქმიანობის შეფასების კრიტერიუმებია:

- ფინანსური დისციპლინის დაცვა;
- აკადემიური/მოწვეული/სამეცნიერო პერსონალის სახელფასო განაკვეთი;
- სტრუქტურული ერთეულის შემოსავლების ზრდა.

უნივერსიტეტი გეგმავს ახალი პროექტების/აქტივობების დაწყებას საფუძვლიანი ფინანსური ანალიზის საფუძველზე.

III.V. სხვა საქმიანობა

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სტუდენტური გაერთიანებების/კლუბების, ასევე სტუდენტური ღონისძიებების ფინანსურ მხარდაჭერას. ძლიერი სტუდენტური ჯგუფი მნიშვნელოვანი პარტნიორია უკეთესი საუნივერსიტეტო ცხოვრების შექმნაში.

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს სოციალურად დაუცველი, სხვა მოწყვლადი ჯგუფების და წარჩინებული სტუდენტების მხარდამჭერი ღონისძიებების განვითარებას.

უნივერსიტეტი ავითარებს GAU გრანტის, სტიპენდიებისა და შეღავათების მოქნილ სისტემას, რომელიც ორიენტირებულია სტუდენტებზე და აკადემიურ/ადმინისტრაციულ პერსონალზე და იცვლება უნივერსიტეტის შიდა და გარე ფაქტორების შესაბამისად.

IV. საზოგადოებრივ საქმიანობაში მონაწილეობა

უნივერსიტეტი მნიშვნელოვნად თვლის მეცნიერების პოპულარიზაციას და მნიშვნელოვანი სამეცნიერო/კვლევითი მიღწევების საზოგადოებაში დანერგვის მხარდაჭერას.

უნივერსიტეტი ავითარებს სპორტულ, კულტურულ და შემოქმედებით საქმიანობას საზოგადოების და მისი წევრების ინტერესებიდან გამომდინარე. ამ საქმიანობის მხარდამჭერი ფინანსური რესურსი განისაზღვრება ყოველი წლის უნივერსიტეტის ბიუჯეტში.